ხელშეკრულება №1
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
კონსოლიდირებული ტენდერი №CON160000061

ქ. თბილისი

„ 8 " „ ივნისი" 2017 წ.

ერთის მხრივ, ა(ა)იპ ქ. გორის მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლების გაერთიანება შემდგომში -„შემსყიდველი", წარმოდგენილი დირექტორის მ/შ გიორგი პურიჭამიაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი", შემდგომში - „მიმწოდებელი", წარმოდგენილი შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"–ს მინდობილი პირის სოფიო ფირცხალავას (პ/ნ 01008028640, თანახმად 05.04.2017 წლის მინდობილობისა ინდ.#42311498084915, რეგ.#170354649) სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, სატენდერო დოკუმენტაციით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონითა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 4 დეკემბრის №11 ბრძანებით დამტკიცებული ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობებით. ამასთან კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში საწვავის სახელმწიფო შესყიდვის თავისებურებათა გათვალისწინებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1.გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში -„ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2.„ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება"- საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3.„დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4.„შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5.„მიმწოდებელი"- პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6.„საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. ავტორიზებული ავტომანქანა - შემსყიდველის ავტომანქანა, რომელშიც მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საწვავის ჩასხმა.

1.8. აგაი სისტემა - სისტემა/საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს ავტოგასამართი სადგურის პისტოლეტის და ავტორიზებული ავტომანქანის საწვავის ავზის ერთმანეთთან დაკავშირებას და იდენტიფიცირებას, რის შედეგადაც მიმწოდებლის ავტოგასამართ სადგურზე დიზელის ჩასხმა შესაძლებელი იქნება მხოლოდ ავტორიზებული ავტომანქანის საწვავის ავზში.

## 2.ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს „შემსყიდველის" მიერ დიზელის საწვავის (CPV 09134200) შესყიდვა ერთჯერადად ან ეტაპობრივად 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.2. მიმწოდებელმა 2017 წლის 1-ლი იანვრიდან ეტაპობრივად, მაგრამ არაუგვიანეს 2017 წლის 1-ლი აპრილისა, უნდა უზრუნველყოს იმ შემსყიდველი ორგანიზაციების ბალანსზე მყოფი ავტომანქანების (ავტორიზებული ავტომანქანების) აღჭურვა „აგაი" სისტემით, რომელთანაც გააფორმებს ხელშეკრულებას დიზელის მიწოდებაზე.

2.3 იმ შემთხვევაში, თუ დიზელის 2017 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული აღმოჩნდა დიზელის 2016 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებელი, რომელსაც 2016 წლის კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში უკვე დაწერგილი აქვს „აგაი" სისტემა, ვალდებულია 2017 წლის 1-ლი იანვრიდან, შემსყიდველი ორგანიზაციების მხრიდან წარმოქმნილი მოთხოვნისთანავე, დიზელის მიწოდება განახორციელოს 2016 წლის კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში დამონტაჟებული „აგაი" სისტემის მეშვეობით. ამასთან შემსყიდველის მხრივ, სისტემით აღსაჭურვი ავტომანქანების დამატების შემთხვევაში, მიმწოდებელმა უნდა აღჭურვოს ისინი „აგაი" სისტემით არაუგვიანეს 2017 წლის 31 იანვრისა.

2.4 იმ შემთხვევაში, თუ დიზელის 2017 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში გაიმარჯვა დიზელის 2014 ან/და 2015 წლების კონსოლიდირებულ ტენდერებში გამარჯვებულმა მიმწოდებელმა, რომელიც ზემოაღნიშნულ წლებში დიზელის მიწოდებას ახორციელებდა აგაი სისტემის მეშვეობით, იგი ვალდებულია, უზრუნველყოს ავტორიზებული ავტომანქანების აღჭურვა არაუგვიანეს 2017 წლის 15 თებერვლისა.

2.4. ნომრიანი პლასტიკური ბარათებით საწვავის შესყიდვის შემთხვევაში ან საწვავის აგაი სისტემით მიწოდებისას, შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს წარუდგინოს დანართი #2, რომელშიც ასახული იქნება ავტომანქანაზე შესასყიდი საწვავის ინდივიდუალური რაოდენობა, ავტორიზებული ავტომანქანების რაოდენობა (მარკა-მოდელი), რომლებშიც უნდა ჩაისხას დიზელი, გამოშვების წელი, თითოეულზე დაწესებული დიზელის ლიმიტები და სახელმწიფო სარეგისტრაციო

ომრები. ხელშეკრულებით/შეთანხმებით წარდგენილ დანართი #2ში ასახული ინფორმაცია ჩაითვლება შემსყიდველის ავტორიზებულ იმ ავტო-საშუალებებად, რომლებზეც უნდა გავრცელდეს საწვავის მიწოდების შესაბამისი პირობები.

2.5 შემსყიდველი ორგანიზაციის ავტოპარკის შემადგენლობაში რაიმე ცვლილების, ან სანომრე ნიშნების ცვლილების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია აღნიშნული ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს, რათა მიმწოდებელმა დროულად უზრუნველყოს აგაი სისტემასთან ან პლასტიკურ ბარათებთან დაკავშირებული შესაბამისი ღონისძიებები.

2.6 შემსყიდველის მიერ, ინტერნეტ ანგარიშით პლასტიკური ბარათების/„აგაი" სისტემის მართვის გამოყენების შემთხვევაში, შესაბამის ბარათებზე ლიმიტების ცვლილების, დაბლოკვის და სხვა ყველა სახის ცვლილებებზე პასუხისმგებლობა ეკისრება, თავად შემსყიდველ ორგანიზაციას (ინტერნეტ ანგარიშის ინსტრუქცია მოცემულია ვებ.გვერდზე http://www.sgp.ge).

2.7 საწვავის მიღება განხორციელდება მხოლოდ ხელშეკრულების დანართი #3–ში (ავტოგასამართი სადგურების სია) განსაზღვრულ ავტოგასამართ სადგურებზე.

2.8 ხელშეკრულებაში მითითებული შესასყიდი დიზელის მოცულობა, ხელშეკრულების ღირებულება და ავტომანქანების რაოდენობა საორიენტაციო ხასიათისაა და შესაძლებელია შეიცვალოს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

## 3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1.ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება შეადგენს *8970,36 (რვა ათას ცხრაას სამოცდაათ) ლარს 36 თეთრს.*

3.2.საწვავის საორიენტაციო მოცულობა, სახეობა და ერთეულის ფასი მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც შესაძლებელია შეიცვალოს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ დროს. დანართი №1 წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.3.ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მისაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს მათ შორის დღგ-ს და საწვავის შენახვის ხარჯებს ავტოგასამართი სადგურიდან მის გაცემამდე.

## 4.საქონლის ფასის დაანგარიშების პირობები

4.1 კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებული ყველაზე დაბალი საბოლოო ფასიდან გამოითვლება „Z" აშშ დოლარში (ტრანსპორტირებასთან, ლოჯისტიკასთან და შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები, ზედნადები ხარჯები და საწარმოს მოგება) შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$Z = \left(\frac{C\ bid \cdot 1000}{D \cdot 1.18} - A\ nov\right) \cdot \frac{1}{R\ nov} P\ nov$$

რომელიც:

C bid- ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასი 1 ლიტრ დიზელზე (ლარში);

R nov- აშშ დოლართან მიმართებაში ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის 2016 წლის ნოემბრის თვის საშუალო არითმეტიკული;

D - მიმწოდებლის სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი დიზელის სიმკვრივის მაჩვენებელი (გრ/სმ3);

P nov - PLATTS EUROPEAN MARKETSCAN-ის FOB Med (Italy) ბირჟაზე დაფიქსირებული (გამოქვეყნებული) საწვავის ერთი მეტრული ტონის 2016 წლის ნოემბრის თვის საშუალო არითმეტიკული ფასი აშშ დოლარში (შემდგომში - პლაცის ნიშნული);

A nov - 2016 წლის ნოემბრის თვეში ერთ მეტრულ ტონა საწვავზე აქციზის ოდენობა ლარებში.

Z და D სიდიდეები უცვლელია 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.2 მიმწოდებელი ახორციელებს ყოველი მიმდინარე კალენდარული თვისათვის 1 ლიტრი დიზელის ნომინალური ღირებულების განსაზღვრას (შემდგომში - ნომინალური ღირებულება - Cnom) შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$Cnom = \frac{((P+Z)R+A) \cdot 1.18 \cdot D}{1000}$$

სადაც, P და R წარმოადგენს მიმდინარეს წინა კალენდარული თვის შესაბამისი მონაცემების საშუალო არითმეტიკულ სიდიდეებს, A - მიმდინარე თვისთვის მოქმედ ერთ მეტრულ ტონა საწვავზე აქციზის ოდენობას ლარებში, 18% - დღგ, ხოლო Z და D – 4.1 პუნქტით გათვალისწინებულ გამარჯვებული სატენდერო წინადადებით წარმოდგენილ უცვლელ სიდიდეებს.

4.3 ნავთობპროდუქციის (საწვავის) სპეციფიურობიდან გამომდინარე, მისი ღირებულების საერთაშორისო სასაქონლო ბირჟაზე არსებულ ცვალებად ფასზე (P) ან/და აშშ დოლართან მიმართებაში ეროვნული ვალუტის ოფიციალური გაცვლით კურსზე (R) ან/და ერთ მეტრულ ტონა საწვავზე აქციზის ოდენობაზე დამოკიდებულების გამო, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველ ორგანიზაციას ყოველთვიურად წარუდგინოს ნომინალურ ღირებულებაზე დაყრდნობით გამოთვლილი მიმდინარე თვის განმავლობაში მისაწოდებელი საქონლის ერთეულის ფასი (მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასი - C1).

4.4 2017 წლის იანვრის სახელშეკრულებო ფასი განისაზღვრება ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული 1 ლიტრი დიზელის საბოლოო ფასის (Cbid) ტოლი სიდიდით. ყოველი მომდევნო თვის სახელშეკრულებო ფასი კი გამოითვლება 1 ლ. დიზელის ნომინალურ ღირებულებაზე დაყრდნობით, შემდეგი პრინციპის გათვალისწინებით:

ა) მიმწოდებელი, ითვალისწინებს რა პლაცის ნიშნულის, აქციზისა და სავალუტო კურსის ცვალებადობას, ყოველი კალენდარული თვის პირველ რიცხვში, განსაზღვრავს 1 ლიტრი დიზელის მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასს შემდეგი პრინციპის მიხედვით: იმ შემთხვევაში, თუ A-ს, P-სა და R-ის ცვლილება იწვევს ფორმულით გაანგარიშებული 1 ლიტრი დიზელის ნომინალური ღირებულების (Cnom) სამზე ნაკლები პროცენტული ოდენობით ცვლილებას წინა თვის სახელშეკრულებო ფასთან მიმართებაში, მაშინ მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასი უდრის წინა თვის სახელშეკრულებო ფასს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ A-ს, P-სა და R-ის ცვლილება იწვევს ფორმულით გაანგარიშებული 1 ლიტრი დიზელის ნომინალური ღირებულების (Cnom) სამი ან მეტი პროცენტული ოდენობით ცვლილებას წინა თვის სახელშეკრულებო ფასთან მიმართებაში, მაშინ მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასი უტოლდება ფორმულით გაანგარიშებული მიმდინარე თვის ნომინალურ ფასს.

ბ) სახელშეკრულებო ფასის დადგენისას ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნას შემდეგი პრინციპი: იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში ერთი ლიტრი დიზელის საანგარიშო თვის საშუალო არითმეტიკული ფასი წინა კალენდარული თვის შესაბამის მაჩვენებელზე 10%–ზე (ასეულის სიზუსტით) მეტით შემცირებულია, მაშინ მიმდინარე თვის C1 უნდა იყოს მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში ერთი ლიტრი დიზელის საანგარიშო თვის საშუალო არითმეტიკულ ოდენობაზე მინიმუმ 10 თეთრით (0,10 ლარით) ნაკლები, ხოლო თუ 15%–ზე მეტით შემცირებულია – მინიმუმ 5 თეთრით (0,05 ლარით) ნაკლები.

4.5 მიმწოდებელსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის ანგარიშსწორება ხორციელდება მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასის საფუძველზე დადგენილი საანგარიშსწორებო ფასის (C2) მიხედვით, უნაღდო ფორმით, ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. საანგარიშსწორებო ფასი გამოქვეყნდება მიმწოდებლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე.

4.6 საანგარიშსწორებო ფასის დადგენისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი გარემოებები:

ა) ავტომანქანის გამართვისა და ავტომატური იდენტიფიცირების სისტემის (შემდგომში - „აგაი" სისტემის) ან/და საბარათე სისტემის მეშვეობით დიზელის შესყიდვის შემთხვევაში, მიმწოდებელი ყოველთვიურად წარუდგენს შემსყიდველ ორგანიზაციას საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას არაუგვიანეს მომდევნო თვის 10 რიცხვისა მიმდინარე თვის განმავლობაში მიწოდებულ დიზელზე. ასეთი შესყიდვის შემთხვევაში საანგარიშსწორებო ფასის განსაზღვრისას მხარეები ითვალისწინებენ შემდეგ გარემოებას: საანგარიშსწორებო ფასი მინიმუმ 15 თეთრით (0,15 ლარით) ნაკლები უნდა იყოს მიმდინარე თვის განმავლობაში მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული ერთი ლიტრი დიზელზე ფასების საშუალო არითმეტიკულ ოდენობაზე (CAV).

ბ) არასაბარათე (ტალონის) სისტემით შესყიდვისას, მიმწოდებელი შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგენს თითოეულ ჯერზე გასატანი შესაბამისი მარკის საწვავის მიხედვით გამოწერილ ანგარიშ-ფაქტურას, საწვავის გატანის დღეს. საანგარიშსწორებო ფასი გამოითვლება ნომინალურ ღირებულებაზე დაყრდნობით განსაზღვრული საანგარიშსწორებო ფასის მიხედვით, რომელიც უნდა იყოს საწვავის მოთხოვნის დღისათვის მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებულ ფასზე მინიმუმ 15 თეთრით ნაკლები.

4.7 მიმწოდებელი ვალდებულია ყოველი თვის პირველ სამუშაო დღეს სატენდერო კომისიას წარუდგინოს ამ ხელშეკრულების 4.2 პუნქტით განსაზღვრული A, P და R, მათ საფუძველზე გამოთვლილი 1 ლიტრი დიზელის მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასი (C1) და აგრეთვე, წინა თვის საანგარიშსწორებო ფასი. ზემოაღნიშნული ფასები დაუყოვნებლივ უნდა განთავსდეს მიმწოდებლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

4.8 თუ შემსყიდველი მხარე განთავისუფლებულია დღგ-სგან ჩათვლის უფლებით საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად საქონლის ფასი დაანგარიშდება წინამდებარე ხელშეკრულების მე–4 მუხლით გათვალისწინებული ფორმულის შედეგად დაფიქსირებულ ფასს (C) გამოკლებული დღგ.

4.9 იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის არ ხორციელდება დამატებითი შეთანხმებების სახით მიმდინარე სახელშეკრულებო ფასის ყოველთვიურად ასახვა, ანგარიშსწორების განხორციელებისას ხელშეკრულების მხარეები ხელმძღვანელობენ 4.9 პუნქტით განსაზღვრული მიმწოდებლის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული საანგარიშსწორებო ფასით.

4.10 მიმწოდებელმა თავის ვებ-გვერდზე ასევე უნდა განათავსოს ინფორმაცია 3.2 პუნქტით განსაზღვრულ საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული 1 ლიტრი დიზელის ყოველდღიური ფასის შესახებ იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადაში თითოეული დღის ფასის ნახვა. მიმწოდებელმა ასევე ყოველი სამუშაო დღის დასაწყისში უნდა მიაწოდოს სატენდერო კომისიას ინფორმაცია მის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული 1 ლიტრი დიზელის ყოველდღიური ფასისა და წინა დღის პლაცის ოდენობის შესახებ შესახებ ელექტრონული ფოსტის მისამართზე oil2017@spa.gov.ge

4.11 მიმწოდებელი პასუხისმგებელია საწვავის ფასთან დაკავშირებით წარმოდგენილი, ასევემისვებ-გვერდზე განთავსებული, ნებისმიერი ინფორმაციის სისწორეზე.

## 5.მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1.*<u>მიმწოდებელი ვალდებულია:</u>*

ა) უზრუნველყოს შემსყიდველისათვის საწვავის ტალონების ან ბარათების დამზადება, შემსყიდველის მოთხოვნიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, რის საფუძველზეც ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი ტალონის ან ბარათისგადაცემის

თაობაზე, შემსყიდველის მინდობილობით უფლებამოსილი პირისათვის. (ტალონის/ზარათისგადაცემის შემდეგ მათი დაკარგვის, დაზიანების ან განადგურების რისკი გადადის შემსყიდველზე)

გ) შემსყიდველი ორგანიზაციისაგან შესაბამისი განაცხადის მიღების შემდეგ, ავტორიზებული ავტომანქანების რაოდენობიდან გამომდინარე, გონივრულ ვადაში უსასყიდლოდ აღჭურვოს შემსყიდველი ორგანიზაციის ყველა ავტორიზებული ავტომანქანა „აგაი" სისტემით. „აგაი" სისტემის დამონტაჟებამდე, დიზელისმიწოდება უნდა განხორციელდეს პლასტიკური ბარათების ან ტალონების მეშვეობით.

გ) მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადებიდან ეტაპობრივად, მაგრამ არაუგვიანეს 2017 წლის 31 იანვრისა, საკუთარი ხარჯებით უნდა უზრუნველყოს ბარათებით ყველა ის შემსყიდველი ორგანიზაცია, რომელთანაც გააფორმებს ხელშეკრულებას დიზელის მიწოდებაზე. აგაისისტემის დანერგვის შემდგომ, დიზელის მიწოდება უნდა გაგრძელდეს აღნიშნული სისტემის მეშვეობით.

დ) „აგაი" სისტემის კომპონენტები წარმოადგენს მიმწოდებლის საკუთრებას, რომელსაც იგი დროებით, 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, საფასურის გარეშე გადასცემს შემსყიდველ ორგანიზაციებს მათ ავტორიზებულ ავტომანქანებზე დამონტაჟების გზით. მიმწოდებელმა არა უგვიანეს 2018 წლის 31 იანვრისა საკუთარი ხარჯებით უნდა მოახდინოს შემსყიდველი ორგანიზაციის ავტორიზებულ ავტომანქანაზე დამონტაჟებული „აგაი" სისტემის კომპონენტის დემონტაჟი, რისთვისაც შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია 2018 წლის1-ლი იანვრიდან მიმწოდებელთან წინასწარ შეთანხმებულ, გონივრულ ვადაში განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები მის ავტორიზებულ ავტომანქანაზე დამონტაჟებული „აგაი" სისტემის კომპონენტის მიმწოდებლისთვის უკან დაბრუნების მიზნით. „აგაი" სისტემის კომპონენტების დაზიანების შემთხვევაში ან მიმწოდებლისათვისუკან დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებელს აუნაზღაუროს აღნიშნული კომპონენტის საინვოისო ღირებულება.

ე)შემსყიდველის მიერ ავტოგასამართ სადგურზე საწვავის ბარათის წარდგენისთანავე უზრუნველყოს ავტომანქანის გამართვა შესაბამისი მოთხოვნილი საწვავით.

ვ)განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე;

ზ) უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებების შესრულება.

5.2.*მიმწოდებელი უფლებამოსილია:*

ა) შემსყიდველს შეუჩეროს საწვავის მიწოდება, თუ შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.2 პუნქტით გათვალისწინებული გადახდის ვადები იქნება დარღვეული.

ბ) უზრუნველყოს საწვავის გაცემა მხოლოდ წინამდებარე ხელშკრულების დანართით გათვალისწინებულ ავტოგასამართ სადგურებზე, მიუხედავად მიმწოდებლის სასაქონლო ნიშნისა.

5.3.*შემსყიდველი ვალდებულია:*

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება);

ბ) შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია სათანადო გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით ითანამშრომლოს მიმწოდებელთან (მაგ. გამოყოს უფლებამოსილი წარმომადგენელი, შეათანხმოს ვადები და ავტორიზებული ავტომანქანების რაოდენობა, რიგითობა და სხვა საკითხები) „აგაი" სისტემის მონტაჟისა და დემონტაჟის პროცესის სწრაფად და ეფექტურად წარმართვის მიზნით.

გ) უზრუნველყოს საწვავის მიღება მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებულ ავტოგასამართ სადგურებზე, მიუხედავად მიმწოდებლის სასაქონლო ნიშნისა.

დ) გამონაკლის შემთხვევაში („ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ოპერატიული საქმიანობის განხორციელების საჭიროება, შენობა-ნაგებობის გათბობის, უწყვეტი ენერგომომარაგების ან/და დასუფთავების საჭიროება, სპეციალური ტექნიკის საწვავით უზრუნველყოფა (რომლებსაც იყენებენ სამსახურეობრივი დანიშნულებისათვის) და სხვა) სატენდერო კომისის თანხმობით შესაძლებელია საწვავის შესყიდვა განხორციელდეს „აგაი" სისტემის გარეშე. „აგაი" სისტემის გარეშე დიზელის შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიღების მიზნით, შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს სატენდერო კომისიას და წარუდგენს შესაბამის ინფორმაციას სატენდერო კომისიის მიერ დადგენილი ფორმით, კონსოლიდირებული ტენდერების ერთიანი პლატფორმის CTD.SPA.GE მეშვეობით.

ე) შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების ინსპექტირება, ასევე მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება.

## 6.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 საწვავის ხარისხის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის განსაზღვრის მიზნით სატენდერო კომისიის დავალებით, მიმწოდებლი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით, 2017 წლის განმავლობაში არაუმეტეს სამჯერ ჩაატაროს ჩაატაროს გეგმიური ექსპერტიზა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროში ან რომელიმე საერთაშორისო აღიარების მქონე ორგანიზაციაში (მაგ. TUV, SGS და სხვ), რომელსაც აქვს არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება საწვავის ექსპერტიზის სფეროში და შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნა წარუდგინოს სატენდერო კომისიას. გეგმიური ექსპერტიზა შესაძლებელია ჩატარდეს ერთ ჯერზე მაქსიმუმ 3 ობიექტზე, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარებისათვის საჭირო ნიმუშის აღების ადგილსა და დროს განსაზღვრავს სატენდერო კომისია და აღნიშნულის შესახებ გონივრული ვადით ადრე აცნობებს მიმწოდებელს.

6.2 შემსყიდველ ორგანიზაციას ან მიმწოდებელს უფლება აქვს მოითხოვოს ალტერნატიული ექსპერტიზა, თუ რომელიმე მათგანი არ ეთანხმება გეგმიური ექსპერტიზის შედეგებს. ასეთ შემთხვევაში, ალტერნატიული ექსპერტიზის ხარჯები უნდა გაიღოს იმ მხარემ, რომელმაც მოითხოვა ალტერნატიული ექსპერტიზა. ალტერნატიულ ექსპერტიზას აქვს უპირატესი ძალა, თუ იგი შესრულებულია საერთაშორისო აღიარების მქონე ორგანიზაციის მიერ (მაგ. TUV, SGS და სხვ), რომელსაც აქვს არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება საწვავის ექსპერტიზის სფეროში. ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარების შემთხვევაში არ უნდა არსებობდეს ინტერესთა კონფლიქტი მიმწოდებელსა და ალტერნატიული საერთაშორისო ექსპერტიზის განმახორციელებელს შორის რაიმე საკითხთან დაკავშირებით (მაგ. საწვავის წარმოშობის ქვეყანასთან, მიმწოდებლისა და ალტერნატიული საერთაშორისო ექსპერტიზის განმახორციელებლის ურთიერთდამოკიდებულებასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით), რომელმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს ექსპერტიზის დასკვნის მიუკერძოებლობა და ობიექტურობა.

6.3 იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია სატენდერო კომისიას დაუსაბუთებს მის ეჭვს ავტორიზებული ავტომანქანის დაზიანების ფაქტსა და საწვავის ხარისხის შესაძლო მიზეზობრივი კავშირის თაობაზე, კომისიას უფლება აქვს მიმწოდებელს მოსთხოვოს არაგეგმიური ექსპერტიზის ჩატარება კომისიის მიერ განსაზღვრულ პარამეტრებზე, რომელთა შემოწმებაც მიზანშეწონილად ჩაითვლება კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე. მიმწოდებელი ექსპერტიზის შედეგებს წარუდგენს სატენდერო კომისიას. ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს მიმწოდებელი.

## 7.ანგარიშსწორება

7.1.ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ)ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

7.2 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. არასაბარათე, საბარათე და „აგაი" სისტემის მეშვეობით დიზელის მიწოდებისას ანგარიშსწორება განხორციელდება ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

7.3 იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის არ ხორციელდება დამატებითი შეთანხმებების სახით მიმდინარე სახელშეკრულებო ფასის ყოველთვიურად ასახვა, ანგარიშსწორების განხორციელებისას ხელშეკრულების მხარეები ხელმძღვანელობენ მიმწოდებლის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული საანგარიშსწორებო ფასით.

7.4 მიმწოდებლის მიერ მიწოდებული 1 ლიტრი შესაბამისი მარკის საწვავის ფასი გამოითვლება ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლით გაწერილი ფორმულის მეშვეობით.

## 8.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1. მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობითა და კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს სატენდეროკომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

8.2. კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ რეკომენდაციის გაცემის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, რის შედეგადაც მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ საჯარიმო თანხის გადახდა, რომელიც გამოითვლება შემდეგნაირად: კონსოლიდირებულ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის დასრულების დღეს მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული 1 ლიტრი დიზელის ფასისა და ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასის სხვაობის გამრავლებით, კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) დიზელის საორიენტაციო მოცულობაზე.

## 9.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, მხოლოდ ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

## 10.ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. *წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:*

ა) ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს;

ბ) ნებისმიერი მხარის ინიციატივით, ცალმხრივად და მხოლოდ სატენდერო კომისიის თანხმობით თუ მეორე მხარე არ ასრულებს ან არა ჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის თაობაზეც მას წერილობით მიეცა გაფრთხილება და დარღვევის გამოსასწორებლად განესაზღვრა დამატებითი ვადა არანაკლებ 5 კალენდარული დღის ოდენობით. ამასთან, დამატებითი ვადა შეიძლება არ მიეცეს, თუკი აშკარაა, რომ მას შედეგი არ ექნება, ან ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების გამო შეწყვეტის ინიციატორ მახრეს ხელშეკრულების საგნისადმი ინტერესი ეკარგება.

10.2.ხელშეკრულების შეწყვეტა (მათ შორის, ვადის გასვლის გამო შეწყვეტა) არ ათავისუფლებს მხარეებს იმ ვალდებულებების შესრულებისაგან, რომლებიც ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოიშვა.

10.3. შემსყიდველის ინიციატივით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთვევაში, მიმწოდებელს უფლება არ აქვს მოითხოვოს მიუღებელი შემოსავლისა ან/და ზიანის ანაზღაურება.

## 11.დავების გადაწყვეტა

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 12.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

## 13.დაუძლეველი ძალა

13.1.მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

13.2.თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედებს დასრულებისთანავე.

13.3.თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 30 დღეზე მეტ ხანს, მხარეს უფლება აქვს სატენდერო კომისიის თანხმობით ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

## 14. სხვა პირობები

14.1 სატენდერო კომისიასთან მიმოწერა კონსოლიდირებულ ტენდერთან დაკავშირებული ნებისმიერ საკითხზე ხორციელდება კონსოლიდირებული ტენდერების მენეჯმენტის სისტემის ან შემდეგი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით: oil2017@spa.gov.ge. აღნიშნული ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნილი კორესპონდენცია წარმოადგენს იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტებს.

14.2 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი - შემსყიდველს.

## 16.მხარეთა რეკვიზიტები:

*შემსყიდველი:*

ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის
სპორტული სკოლების გაერთიანება
მის.: ქ. გორი, სტალინის ქ. N11
საიდენტიფიკაციო კოდი: 418469552
ბანკის კოდი: TRESGE22
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ტელ.: 0370279103, 0370274706

ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის
სპორტული სკოლების გაერთიანების
დირექტორის მ/შ

*გიორგი პურიჭამაშვილი*

*მიმწოდებელი:*

შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"
მის.: ქ.თბილისი, 300 არაგველის 24
საიდენტიფიკაციო კოდი:202352514
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE02BG0000000233446600
ტელ.: 249 97 57

შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"-ს

მინდობილი პირი

*სოფიო ფირცხალავა*

დანართი №1

2017 წლის 8 ივნისის № 1 ხელშეკრულებაზე

| # | საქონლის დასახელება | საქონლის ძირითადი მახასიათებლები | საორიენტაციო რაოდენობა (ლიტრი) | ერთეულის ფასი (ლარი) | საერთოსაორიენტაციო ღირებულება (ლარი) | მიწოდების ვადები |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დიზელი | (არაუმეტეს150PPM) | 5068 ლიტრი | 1,77 ლარი | 8970,36 ლარი | ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 31 დეკემბრი |

*შემსყიდველი:*

ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის
სპორტული სკოლების გაერთიანება
მის.: ქ. გორი, სტალინის ქ. N11
საიდენტიფიკაციო კოდი: 418469552
ბანკის კოდი: TRESGE22
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ტელ.: 0370279103, 0370274706

ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის
სპორტული სკოლების გაერთიანების
დირექტორის მ/შ

*გიორგი პურიჭამიაშვილი*

*მიმწოდებელი:*

შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"
მის.: ქ.თბილისი, 300 არაგველის 24
საიდენტიფიკაციო კოდი:202352514
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE02BG0000000233446600
ტელ.: 249 97 57

შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"-ს

მინდობილი პირი

*სოფიო ფირცხალავა*

**დანართი N2**

ავტო მანქანების

მონაცემები და საწვავის ლიმიტები

ავტო მანქანები

| N | ავტომანქანის მარკა/მოდელი სახ.ნომერი | საწვავის სახეობა | გამოშვების წელი | საწვავის ლიმიტი (თვის) |
|---|---|---|---|---|
| 1 | Ford Transit BC 835 BD | (არაუმეტეს 150PPM) | 2007 | 362 ლიტრი |
| 2 | Mersedes Benz AA 121 KK | (არაუმეტეს 150PPM) | 1997 | 362 ლიტრი |

მხარეთა რეკვიზიტები:

*შემსყიდველი:*

ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის
სპორტული სკოლების გაერთიანება
მის.: ქ. გორი, სტალინის ქ. N11
საიდენტიფიკაცო კოდი: 418469552
ბანკის კოდი: TRESGE22
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ტელ.: 0370279103, 0370274706

ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის
სპორტული სკოლების გაერთიანების
დირექტორის მ/შ

გიორგი პურიჭამიაშვილი

*მიმწოდებელი:*

შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი"
მის.: ქ.თბილისი, 300 არაგველის 24
საიდენტიფიკაცო კოდი:202352514
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE02BG0000000233446600
ტელ.: 249 97 57

მინდობილი პირი

სოფიო ფირცხალავა

**დანართი N3**

# *შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის" მფლობელობაში არსებული ავტო-გასამართი სადგურების ჩამონათვალი*

<u>ქ.თბილისი, მტკვრის მარჯვენა სანაპირო :</u>

1. „ფორტუნა"- დავით აღმაშენებლის ხეივანის მე-13 კმ;
2. „ბოტანიკა"- საქ-სამხედრო გზაზე, ბოტანიკის ინსტიტუტის წინ;
3. „ბელიაშვილი 1"- საკალათბურთო კლუბ „ დინამოსათვის" დამაგრებულ მიწის ნაკვეთის მიმდებარედ, ბელიაშვილის ქუჩა;
4. „გელოვანი 1" - გელოვანის გამზ. მეღვინეობის ინსტიტუტის მოპირადაპირე მხარეს;
5. „ვახუშტი"- ვახუშტის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია (ვახუშტის ხიდი);
6. „თამარაშვილი"- თამარშვილის ქ. იპოდრომის მიმდებარედ ;
7. „საბურთალო"- საბურთალოს ქ # 18 ;
8. „თბილისი სანაპირო"- მტკვ.მარჯ.სანაპიროზე, ავტოგასამართ „გიოჩი"-სა და შ.პ.ს „კედარი"-ს მიერ შეძენილ ტერიტორიას შორის ;
9. „გულია"- ორთაჭალა, გულიას მოედანი, შსს მიმდებარედ;
10. „ქავთარაძე" - ქავთარაძის ქ #19

<u>ქ.თბილისი, მტკვრის მარცხენა სანაპირო :</u>

11. „ლილო" - კახეთის გზატკეცილი,ნავთობბაზასა და მშენებარე ლუდის ქარხანას შორის. (კასტელი);
12. „აეროპორტი 1"-.კახეთის გზატკეცილზე, მარცხენა მხარეს;
13. „აეროპორტი 2"- სავაჭრო-საბითუმო ბაზა „ცეკავშირის" მიმდებარედ;
14. „დიდუბე" - მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროსა და გუდაუთის გადაკვეთაზე;
15. ,,ორთაჭალის ხიდი" - ქ.თბილისი, ორთაჭალჰესის მიმდებარე ტერიტორია, რიტუალების სასახლის დაბლა;
16. „ნავთლუღი 1" - მოსკოვის გამზ. #10 -ის მიმდებარედ;
17. „ნავთლუღი 2" - მოსკოვის გამზ. #21 ის მოპირდაპირედ;
18. „გურამიშვილი 1"- გურამიშვილის ქ #84;
19. „გურამიშვილი 2"- გურამიშვილის გამზ #15;
20. „თბილისის ზღვა" - თბილისის ზღვის ტერიტორია;
21. „ვაზისუბანი"- ვაზისუბანი #15 ა კორპ-ის მიმდებარედ;
22. „კახეთის გზატკეცილი 1 "- კახეთის გზატ. რკინიგზის დამხ.ჩიხს შორის;
23. „სანაპირო 2" - მდ. მტკვ. მარცხენა სანაპირო .ქსნის ქუჩაზე,დიღმის ხიდთან;
24. „შეშელიძე 1"- სარაჯიშვილის გამზირისა და დიდ დიღომში მიმავალი გზის გადაკვეთაზე;
25. „შეშელიძე 2" - შეშელიძის ქ #34 ;
26. „ისანი" - აწყურის ქუჩისა და კახეთის გზატკეცილის გადაკვეთასთან

<u>ქვემო ქართლი :</u>

27. „რუსთავი კომპლექსი "- წითელი ხიდის ავტოგზის მე-19 კმ-ზე გზის ღერძიდან მარცხენა მხარეს;
28. „გარდაბანი"- გარდაბნის რაიონი, დ.აღმაშენებლის ქუჩა;
29. „რუსთავის ცენტრი"- შარტავას ქ #4 -ის მიმდებარედ;
30. „თელეთი"- გარდაბნის რაიონი,. სოფ.წალასყური;
31. ,,ბოლნისი" - ქ.ბოლნისი, (ბოლნისის შესასვლელთან მარჯვენა მხარეს);
32. "დმანისი"- ქ. დმანისი ;
33. „მარნეული" - ქ.მარნეული,რუსთაველის ქ . ჩაის სახლის ტერიტორია;

34. „ყიზილაჯლო“- ქ.მარნეულის ,სოფ ყიზილაჯლო;
35. „ფახრალო“- ბოლნისის რაიონი, სოფ. სავანეთი;
36. „შულავერი“- ქ.მარნეული, სოფ.ქვემო სარალი;
37. „სადახლო“- ქ.მარნეული, სოფ.სადახლო;
38. „თბილისის შემოვლითი" - გარდაბნის რაიონი,სოფ. მარტყოფი (გეზ-ის მოპირდაპირედ)

<u>კახეთი :</u>

39. „ჩალაუბანი“- გურჯაანი რაიონი, სოფ.ჩალაუბანი;
40. „ყვარელი“- ქ. ყვარელი;
41. „საგარეჯო“- ქ.საგარეჯო, კახეთის გზატ. # 14 ;
42. „იორმუღანლო“ - საგარეჯო .სოფ. იორმუღანლო;
43. „გომბორი“- თელავი. სოფ ვარდისუბანი (გომბორის მიმართულება);
44. „ვარდისუბანი“- თელავი . ვარდისუბანი (ახმეტის მიმართულება);
45. „კაბალი“ -ლაგოდეხის რაიონი, სოფ. დონა ;
46. „ახმეტა“- ქ. ახმეტა, რუსთაველის ქუჩა ;
47. „დედოფლისწყარო“- ქ.დედოფლისწყარო, რუსთაველის ქუჩა # 1;
48. „წნორი“- სიღნაღის რაიონი, სოფ. საქობო;
49. ,,მაღარო" - სიღნაღის რ-ნი, სოფ.მაღარო;

<u>რაჭა-იმერეთი:</u>

50. "ზესტაფონის კომპლექსი“- ქ.ზესტაფონი. სტაროსელსკის ქ # 15 ;
51. „ხარაგაული“- ქ.ხარაგაული, სოლომონ მეფის ქ # 86;
52. „იანეთი“- სამტრედიის რაიონი, სოფ.იანეთი;
53. „ქუთაისი I“- შ. პირველის, ქ.შესახვევი II #4;
54. „ქუთაისი-ნიკეა“- ნიკეას ქ #8;
55. „ტყიბული“ - ქ.ტყიბული, ტყვარჩელის ქ #17 ;
56. „სამტრედია“- ქ. სამტრედია, რესპუბლიკის #7;
57. ,,ამბროლაური" - ქ.ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქუჩა;
58. ,,ჭიათურა 1" - ქ.ჭიათურა“- გრ.აბაშიძის ქ # 15 ;
59. „დაფნარი“- ქ . სამტრედია .სოფ დაფნარი

<u>აჭარა:</u>

60. „ბათუმი ბარცხანა“- თამარ მეფის გამზ.მიმდებარედ ;
61. „გონიო“-ხელვაჩაურის რაიონი, სოფ.გონიო ;
62. „ბათუმი მაკდონალდსი“- ხიმშიაშვილის ქუჩის მიმდებარედ;
63. „ქედა“- ქედა , სოფ.ცხემნა;
64. „ხელვაჩაური“- ხელვაჩაურის რაიონი, სოფ.მეჯინისწყალი ;
65. „ანგისა“- ქ.ბათუმი, ანგისას დასახლება;
66. „ბათუმი ბაგრატიონი“- ჰ. აბაშიძის ქ # 91
67. „ქობულეთი“- ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ # 109 ა

<u>ქართლი-ახალციხე:</u>

68. „გორი“- ქ.გორი ,ცხინვალის გზატკეცილი #8 ;
69. „ხაშური“- ქ.ხაშური,იმერეთის ქ # 38 ;
70. „ბორჯომი“- ქ.ბორჯომი, დ. აღმაშენებლის ქუჩა ;
71. „აგარა“- ქარელის რაიონი, დაბა აგარა, ბაზრის მიმდებარედ ;
72. „ურბნისი-კომპლექსი“- ქარელის რაიონი,სოფ.ურბნისი;
73. „ახალციხე"- ქ.ახალციხე , აბასთუმნის გზატკ;
74. „ბაკურიანი“-ბაკურიანი, ბორჯომის რაიონი, ბორჯომის ქ #55

**მცხეთა-მთიანეთი:**

75. **ყაზბეგი (სტეფანწმინდა)** - ყაზბეგის რ-ნი, დაბა სტეფანწმინდა

**გურია-სამეგრელო-სვანეთი:**

76. „ლანჩხუთი"-ლანჩხუთის რაიონი, სოფ.გვიმბალაური
77. „ჩოხატაური"- ქ.ჩოხატაური ,დუმბაძის ქუჩა #41;
78. „ოზურგეთი"- ქ.ოზურგეთი ე.თაყაიშვილის ქუჩა ;
79. „ფოთი I"- ქ.ფოთი . დ. აღმაშენებლის ქ ;
80. „ზუგდიდი"- ზუგდიდი სოფ.ჭითაწყარო ;
81. „სენაკი" - ღვინჯილიას ქ #4 ;
82. „ჯვარი"- ქ.ჯვარი , ანდრია პირველწოდებულის ქუჩა ;
83. "ფოთი II" - გურრიის ქ. # 195 ;
84. „თეკლათი"- სენაკის რაიონი.სოფ. თელკათი ;
85. „ინგირი"- ზუგდიდი სოფ. ინგირი ;
86. „წალენჯიხა"- ქ.წალენჯიხა ,ზუგდიდის ქუჩა #95.
87. „მესტია" -დაბა მესტია ,ფარჯიანის ქ # 25 ;

საქართველოს გურიის ერთიანი ფიზიკურ კულტურის სპორტული სკოლების ერთეული
GEORGIA MEGRE-GURIA UNITY OF GORI SPORT SCHOOLS MUNICIPALITY
418469552